



ჭილაძე განიტოლაშვილი



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
The Folklore State Centre of Georgia

თ ე ლ ა ზ ე ლ ე ბ ი

T E L A V E L E B I

Telavi Group

თბილისი 2008

ტექსტის ავტორი და რედაქტორი ბაია ასეიშვილი

გამოცემაზე მუშაობდნენ: ნანა ვალიშვილი  
ნუნუკა შველიძე  
თეა კასაბური  
ნანა კალანდაძე

თარგმანი მიხეილ გელაშვილისა

დამკაბადონებელი კახაბერ წურწუმია

დაიბეჭდა შპს „ფავორიტში“

Author and editor of the text: Baia Aseishvili

Works for this publication were performed by:

Nana Kalandadze

Nana Valishvili

Nunuka Shvelidze

Tea Kasaburi

Archil Burchuladze

Translated by Michael Gelashvili

Typographic Dezign by Kakha Tsurtssumia

The book was printed in "Favoriti", Ltd.

# თელავის გუნდი

## (1939—1970)

თითქოს ზურმუხტში  
ლალი ცვიოდა,  
თითქოს ფანტავდნენ  
მარჯანს პეშვითა  
და ხმა ყელიდან  
კი არ დიოდა  
არა! —  
ვარსკვლავთა აზარფეშიდან

*გიორგი ლეონიძე*

ხალხის მეხსიერება გამძლეა, მაგრამ ახს-  
ოვს მხოლოდ ის, ვინც რაღაცით გამოირჩევა.  
ულმობელი დრო დავიწყების ფერფლს აყ-  
რის ყველასა და ყველაფერს, ზოგჯერ კარგსა  
და გამორჩეულსაც კი. დრო-უამის მრისხანე  
ბრუნვას გადაურჩა თელავის გუნდი, რომლის  
ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი  
ფირუზ მახათელაშვილის სახელთანაა დაკავ-  
შირებული. საქართველოში დღესაც ახსოვთ ის,  
ნებისმიერ თელაველს დღესაც ეამაყება მისი  
სახელი. რით მოიპოვა თელავის გუნდმა, მისმა  
ხელმძღვანელმა, გუნდის წევრებმა ესოდენ  
პოპულარობა და ავტორიტეტი, ხალხის სიყ-  
ვარული და პატივისცემა — მაღალი პროფე-  
სიონალიზმით, მომღერალთა განუმეორებელი  
ხმებითა და ორიგინალური ხელწერით, ნამდ-  
ვილ ღირებულებათა და ტრადიციათა ერთ-  
გულებით. აქ ჩვენ იმ შემთხვევასთან გვაქვს  
საქმე, როცა ლოტბარი და გუნდის წევრები  
მართლაც ერთი გუნდია, როცა ხელმძღვანელს

გულის გულში აქვს გატარებული ქართული ჰანგი და ჩამწვდარია ქართული ხალხური სიმღერის უძირო სიღრმესა და უნიკალურობას.

თელავის გუნდი ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ამ მადლიან მინას მრავალი გამორჩეული მომღერალი ახსოვს, სახელიანად თუ უსახელოდ გადაგებული, ზოგიც უსინათლო ყაზიასა თუ ლამის მეხრე მახარესავით ლეგენდად შემორჩენილი, ზოგიც რჩეულთა შორის ჩინებულად დაბადებული. თავად თელავი უძველესი მუსიკალური ტრადიციების ქალაქია: „თელავში მუდამ იყო მომღერალთა გუნდი“ (გიორგი ნადირაძე) — ეს „მუდამ“ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით, 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს. 1885 წელს თბილისში ლადო აღნიაშვილი ქმნის „ქართულ ხოროს“, იმავდროულად თელავში იქმნება და მოქმედებს ზაქარია ჩხიოვაძის, იოსებ მონადირიშვილისა და ნიკო სულხანიშვილის გუნდები. გასული საუკუნის 20-იან წლებში ნიკო სულხანიშვილის დაშლილი გუნდი ახალი მომღერლებით შეავსო და სათავეში ჩაუდგა გრიგოლ კოლელიშვილი (მანან-წურელი). ამ გუნდის მაშინდელ შემადგენლობას ამშვერებდნენ: შაქრო ჭელიძე, გიორგი ყავალაშვილი, გიორგი ბერიაშვილი (ჭიმია), შაქრო ლომიძე, ნიკო როსტომაშვილი, ვასო მამუკელაშვილი, დიმიტრი ბოჭორიშვილი, ბაბო სულხანიშვილი-ტყავაძე, ვანო ზურაბიშვილი, ელიზბარ ჯანდიერი, ანა ჯაჯანიძე-ზურაბიშვილი, რაფო ნანუკაშვილი, იოსებ გიგაური, პეტრე რცხილაძე, თამარ და ეკატერინე შიუკაშვილები. 1926 წელს გრიგოლ კოლელიშვილის გუნდი დიმიტრი (ტიტო) მგალობლიშვილის გუნდს შეუერთდა. დიმიტრი მგალობლიშვილი თელავის გუნდს 1937 წლამდე ხელმძღვანელობდა. ამ დროისათვის უკვე თელავის ეთნოგრაფიულ გუნდში მღეროდნენ: გიორგი ამუზაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, გიგლა პაპალაშვილი და თავად ფირუზ მახათელაშვილი. სწორედ დიმიტრი მგალობლიშვილის რეკომენდაციით მიიღო თბილისის კონსერვატორიაში განათლება გუნდის მომავალმა ლოტბარმა ფირუზ მახათელაშვილმა. 1937 წელს გუნდს ცოტა ხნით რეზო ქარუხნიშვილი ლოტბარობდა, შემდეგ — შიო ბაბალაშვილი. 1939 წელს დაშლილი ეთნოგრაფიული გუნდის განსაახლებლად თელავში იწვევენ ფირუზ მახათელაშვილს, რომელიც გარდაცვალებამდე თელავის გუნდის უცვლელი ლოტბარი იყო.

# ფირუზ მახათელაშვილი

## (1914-1970)

ფირუზი დავითის ძე მახათელაშვილი დაიბადა 1914 წლის 10 ნოემბერს თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურში — გლეხის ოჯახში (ვსარგებლობთ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და პირად არქივში დაცული ავტობიოგრაფიებით). 1936 წელს თბილისში დაამთავრა საშუალო სამუსიკო სასწავლებელი და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტზე — გუნდის დირიჟორის სპეციალობით. სასწავლებელშივე ხელმძღვანელობდა თვითმოქმედ წრეებს. 1936 წელს, როგორც ლოტბარი, ხალხური შემოქმედების სახლმა (დღევანდელმა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა) აიყვანა აღრიცხვაზე და ამ წლიდან ოფიციალურად ხელმძღვანელობდა ნავთლულის რეინიგზელთა კლუბის ანსამბლს. 1938 წელს — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს, 1939 წელს კი თელავში გაინვიეს ეთნოგრაფიული გუნდის აღსადგენად. ახალგაზრდა ლოტბარი იძულებული გახდა, კონსერვატორიაში ერთი წლით აკადემიური შევძულება აედო. შემდეგ, ომის დაწყების გამო, მან ვერ შეძლო კონსერვატორიის დამთავრება — მხოლოდ ოთხი კურსი მოისმინა. ასე აღმოჩნდა 25 წლის ნიჭიერი ახალგაზრდა საკმაოდ საპატიო და სასიამოვნო, მაგრამ უმძიმესი საქმისა და პასუხისმგებლობის წინაშე. მართალია, თელავის გუნდს ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა, მაგრამ იოლი არ იყო დაშლილი ეთნოგრაფიული გუნ-

დის აღდგენა, რეპერტუარის გამდიდრება, თანაც ეპოქისათვის — სისტემისათვის — უმძიმესი ხარკის გადახდა.

ფირუზ მახათელაშვილმა, უპირველესად, ჩაიწერა ლევან ასაბაშვილის (დედას ლევანას), ილიკო სინჯიკაშვილის, მიხა ავგაროზიშვილის, ვანო მჭედლიშვილის, მიხა ჯილაურის, ნინია ელოშვილის ნამდერი ვარიანტები. თავდაპირველი ელფერისა და ხასიათის შეუცვლელად აღადგინა დროთა განმავლობაში შელახული სიმღერები და შექმნა საუკეთესო მწყობრი ანსამბლი სინკრეტიზმის პრინციპით — სიმღერის, ცეკვის, საკრავების (ჩანგის, ფანდურის) და ლექსის ერთობლიობით. ძირძველ, ძარღვიან, ვაჟკაცურ სიმღერა-ცეკვებთან ერთად სცენაზე ცოცხლდებოდა ნამდვილი ბუკოლიკურ-პასტორალური ყოფა. ფირუზ მახათელაშვილს, როგორც დიდ ხელოვანსა და შემოქმედს, მაშინ მოუხდა მოღვაწეობა, როცა უსასტიკეს ცენზურას განიცდიდა და უმძიმესი წერილი ქვეშ იყო მოქცეული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, ხელოვნებისა და კულტურის ყველა დარგი. „ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური“ ხელოვნების მსახურებაში „ამაოდ დაშვრა“ მრავალი შემოქმედის მუზა. ფირუზ მახათელაშვილის ხალასი ნიჭი შემოქმედებით უკუსვლას და დაშრეტას გადაუჩრჩა. რეჟიმი ითხოვდა სცენაზე სოციალზმ-კომუნიზმის მშენებელი კოლმეურნეების იდეალური ყოფის წარმოჩენას. ლოტბარმა კი გააცოცხლა, ცოცხალ სურათებად წარმოადგინა ქართველი კაცის ოდინდელი ცხოვრება — ლალი ქართველებით, მამაცი მწყემსებით, სიყვარულის მარადიული მოხმობითა და წყურვილით, იმის შეგნებით, „უბაროდ მთანიც რომ ვერა გვარობენ“. ასე დამკვიდრდა ქართულ ფოლკლორში და ქართველთა მეხსიერებაში ფირუზ მახათელაშვილის „ნუ გიყორს, ქალავ“, „სიმღერა კახეთზე“, „სიმღერა თელავზე“, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სუიტა „მთისა და ბარის მეგობრობა“. მიუხედავად თავისი სიმღერების დიდი პოპულარობისა, თავად ყოველთვის „დიდ მზღვარს ავლებდა“ მათსა და ხალხურ შედევრებს შორის. გუნდის რეპერტუარის შედგენისას პირველად ხალხურ სიმღერებს ჩამონერდა, ბოლოში მოკრძალებულად თანამედროვეთ — „ეპოქის მოთხოვნის მიხედვით დაწერილს“ და ყოველთვის მოაყოლებდა აღსადგენი სიმღერებისა და გუნდის წევრთა სიასაც — ჯერ მანდილოსნების, შემდეგ — მამაკაცების. მოგვყავს ერთ-ერთი ჩანაწერი მისი პირადი არქივიდან.

## ჩვენს რეპროფუარშია:

ჩაკოლუონ  
მრავალუამიერი  
შემოძხილი  
მაყრული  
ყანის მკური  
ზამთარი  
ნაიყვანეს თამარ ქალი  
გაფრინდი, შავო მერწალო  
შვიდნი გურჯანელნი  
შაშვი კაკაბი

## საჩინგურო:

ჩემი ლამაზი ქვეყანა (ქ. ჩირინაშვილის)  
ნუ გიყორს, ქალავ! (ფ. მახათელაშვილი)  
ხალხო, შეხედეთ  
სიმღერა თბილისზე  
სიმღერა კახეთზე  
სიმღერა ალაზნის ველზე  
სიმღერა მეგორდორზე  
საკოლმეურნეო (ქ. ლოლობერიძის)

## ალთადგენი და შესახნავლი სიმღერები:

კახური სათამაშო სიმღერა  
შავლეგო  
მუმღო მუხასა  
ალილო  
შრომის სიმღერა (კონცერი)  
მოღისო მტერი, კახელნო  
შენ, შერმაზანო  
მოლხინო  
ხეყრო  
სოფელო  
მოგვყავსო ქალი ეთერი  
ჩხნდესა ჩხნდე უნდა ქვიოდეს  
ჭარელო



თელავის გუნდი, 1959  
Telavi group, 1959

### გუნდში დაფის ორგანიზაციი კარი:

1. ბაიაშვილი ქსძა
2. მესტვირიშვილი თინა
3. ფერიძე მაბულია
4. ფერიძე მზია
5. ლუართაბაშვილი თამარი
6. მდივნიშვილი იზო
7. წერძენიშვილი მარგო
8. მამუკაელაშვილი ელიკო
9. კაჭურჭიშვილი ზორა
10. ვაშაძე მარიკა
11. დავითოვი ვანო
12. გაგნიძე ირაკლი
13. შაშურაშვილი ავთო
14. ფირუზოვი არტო
15. ბიძინაშვილი შალიკა

16. მარკოზაშვილი შელიკო
17. თამარაშვილი კარლო
18. რაზმაძე შაქრო
19. მახათელაშვილი ნუგზარი
20. ფეიქრიშვილი თეფო
21. ფარჩიაშვილი მიტო
22. რაზმაძე ანგი
23. გაბესოლიანი ვალიკო
24. ოვალიაშვილი გიგლა
25. ოვალიაშვილი ჭიმშერ
26. ლუსუფრაშვილი ლადო
27. ფევიძე ფათა
28. მარკოზაშვილი ფათა
29. კუვლიშვილი ოთარ
30. კასრელიძე გოგი

დიდი ლოტბარი შესანიშნავად უკრავდა სიმებიან საკრავებზე, იქნებ ამიტომაც საკრავთოსტატობაშიც მოსინჯა ძალა: მახათელაშვილების ოჯახში დღესაც ინახება მისი ხელით გამოთლილი კომბინირებული საკრავი „ჩანგური“ — ჩანგი, ფანდური, ჩინგური ერთად. ფირუზ მახათელაშვილი არ ყოფილა მხოლოდ პრაქტიკოსი ლოტბარი. ამაში მისი არქივისათვის ერთი თვალის გადავლებითაც დავრწმუნდებით. ინტერესის სფერო ფართოა: „მუსიკის მდგომარეობა საქართველოში“; „ქართული ოპერა“; „მუსიკაზე ფილოსოფიოსთა აზრის შემოჭრა ლიტერატურაში“... სამწუხაროდ, სტატიებითუ ნარკვევები დაუმთავრებელია. აქვეა სასიმღერო ჰანგისათვის გამზადებული უამრავი ლექსი. ოსტატი ყოველთვის შეუმცდარად გრძნობდა თავის საკეთებელს, სათქმელსა და სასიმღეროს. სულიერად და მატერიალურად განინასწორებული პიროვნება, მოხდენილი ვაჟკაცი, ნიავის დარი სიარულით, საოცრად გამომსახველი ელასტიკური მოძრაობით, ლამაზი და დამაჯერებელი მოქმედებით — ასე ახასიათებენ მას თანამედროვენი. ასეთად დარჩა ის თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ხალხის მეხსიერებაში.

სამი ათეული წლის მანძილზე დრო და დრო იყო დიდი აღიარება და სახელი — ლაურეატობა, სიგელები, დიპლომები, ჯილდოები: 1944-52 წლებში თელავის გუნდი სახელმწიფო

ანსამბლის სტატუსს ატარებდა; 1951 წელს თავად გუნდის ხელმძღვანელს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშავის წოდება მიენიჭა; 1967 წელს „თელაველები“ მოსკოვში საკავშირო ფესტივალის ღაურეატები გახდნენ.

ფირზ მახათელაშვილი ოცდაათი წელი ფეხჩაუხრელად ემსახურა ქართულ ფოლკლორს, ზიდა ლოტბარობის უმძიმესი ტვირთი: იმუშავა გორში (1953), რუსთავში (1956-57), ახმეტაში (1947), ყვარელში, კურდლელაურში, მუკუზანში, წინანდალში, შილდაში, ნაფარეულში, თელავის სხვადასხვა სკოლასა და მასწავლებელთა სახლში, გურჯაანისა და ველისციხის ანსამბლებსა და საგუნდო კოლექტივებში, მაგრამ მისი „საჯილდაო ქვა“ მაინც თელავის გუნდი იყო. ლოტბარმა მაქსიმალურად გამოიყენა იშვითი ნიჭითა და ხმით დაჯილდოებულ მომღერალთა შესაძლებლობანი. ამიტომაც იარსება ამ გუნდმა ამდენი წელი და შედარებით იოლად გადაიტანა თაობათა ცვლის რთული და მტკიცნეული პროცესი.

თაობათა ცვლა, განსაკუთრებით წამყვანი ხმებისა, მრავალი გუნდისა და ანსამბლისათვის გამხდარა პრობლემა. ამ მხრივაც ნამდვილად გაუმართდა თელავის გუნდს — ავთანდილ შაშურაშვილის, არტემ ფირზუმოვის, შალვა ბიძინაშვილის, შალვა და დავით მარკოზაშვილების, ზაქრო რაზმაძის, კოტე თამარაშვილის, ჯიმშერ თვალიაშვილის, უშანგ ყორანიშვილის, ვლადიმერ გულოვანოვის, ჯერად ჩითალიშვილის სახით. ჩვენ ქედს ვიხრით ამ ადამიანების ღვანლის წინაშე. მაგრამ ლომიძე-ამუზაშვილ-ფეიქრიშვილის დუეტები ხომ ლეგენდად შემორჩა თელავის გუნდსა და კახურ სიმღერას. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ შაქრო ლომიძის, გიორგი ფეიქრიშვილისა და გიორგი ამუზაშვილის ფოტო ამშვენებს ოთარ ჩიჯავაძის „ქართული ხალხური სიმღერების“ კრებულს (ნაწ. I, 1961 წ). ამ სამეულმა არნახული გაქანება, სივრცე და სისავსე მისცა კახურ სიმღერას. სპეციალისტები ერთსულოვნად ალიარებენ მათს უზადო ნიჭს, შესაძლებლობებსა და განუმეორებელ ხელწერას. „მე ამ სამეულს ეროვნული საუნჯის მშვენებას, მიწის ზედა ოქროს ზოდებს ვუწოდებდი, სამივეს რაღაც განსაკუთრებული, განუმეორებელი ხმა ჰქონდათ. კახურ „მრავალუამიერში“, რომელსაც შაქრო და წულა (გიორგი ამუზაშვილი) ასრულებენ, არის ერთი პატარა მონაკვეთი — „ჰარულალი და თარულალი“... როდესაც

ერთი მუხლიდან მეორეზე გადასცლა ხდება, მას შაქრო მღერის, მღერის კი არა ქარგავს, მას მოქანდაკის საჭრეთელი უჭირავს, დაასრულებს ხმის ჩამოქნევას და ქვაზე ულამაზესი ჩუქურთმა რჩება” (გურამ ურჩუხიშვილი, „ერთი ქართული მითხარო”, თელავი, 2004).

ამ განუმეორებელი მომღერლების შესახებ აი, რა უამბნია გურამ ურჩუხიშვილისათვის ბიძას — გიორგი დათუკიშვილს: „მე, შაქრო ლომიძესთან შეგირდად ვიყავი, მაშინ ჯერ კიდევ გადმოყოლილი იყო ძველი ცხოვრებიდან ოსტატ-შეგირდობის წესი. დილა-უთენია უნდა მივსულიყავი სადალაქოში, დამეგავა, დამესუფთავებინა, ყველაფერი წესრიგში მომეყვანა, „პენინიკი“ კაცი იყო შაქრო და უწესრიგობას და უსუფთობას არ მაპატიებდა.

შაქროსთან ხშირად მოდიოდა ორივე გიორგი. სამივენი ლამაზი შესახედაობის ვაჟეკაცები იყვნენ, განსაკუთრებით წულა გამოირჩეოდა მნითური სახის კოხტა აპრეხილი ულვაშებით. ძალიან უხდებოდა შავი ახალუხი და გალიფე შარვალი, წელზე ტყავის ქამარიდა „აზიატსკები“. შაქრო და გიორგი ფეიქრიშვილი პირველ ხმას მღეროდნენ, წულა მეორეს ამბობდა, იმათი სიმღერის მოსმენა ერთ რამედა ღირდა. მაშინ წესი იყო, შეგირდი რომ ხელობას კარგად შეისწავლიდა, ოსტატად უნდა ეკურთხებინათ, და ამ დროს, წესისამებრ, პატარა სუფრა იშლებოდა ხოლმე. მამაჩემი, ზაქარია დათუკიშვილი, დარიბი კაცი იყო, ერთი პატარა ფიცრული სახლი გვედგა წინანდლის თავში, მაგრამ რას იზამდა, პატარა სუფრა მაინც უნდა გაეშალა, რადგან, ჯერ ერთი, შვილი ხელოსნად იკურთხებოდა, მეორეც — თვითონაც მომღერალი კაცი იყო. წინანდალში „მაყულს“ მაგისთანად ძნელად თუ ვინმე იტყოდა. ისე, რომ, უხაროდა კიდეც ცნობილი მომღერლების სტუმრად მობრძანება.

დაითქვა დღე და გაშალა მამაჩემმა სუფრა, საწყალი თავს არა ზოგავდა, ოლონდ კი გამოჩენილიყო იმ ბიჭებთან. სამნი ისინი იყვნენ, მეოთხე მამაჩემი და ერთი ბანი კიდევ დაიმატეს სოფლიდან. ლვინო ჰქონდა მამაჩემს ისეთი, რომ მზესავით ლაპლაპებდა და ცეცხლს და ნაპერნკალს ჰყრიდა. წესისამებრ „მაკურთხეს“ ოსტატად და მოჰყვა სადღეგრძელოს სადღეგრძელო. მერე სიმღერა წამოიწყეს, ამ ხნის კაცი ვარ და იმისთანა ბედნიერი დღე აღარა მგონია გამითენდეს. როგორც გითხარით, პატარა ხის



თელავის გუნდი, 1950  
Telavi group, 1950

სახლი გვედგა და მე ჯერ კიდევ ბალლი, კუთხეში მივჯექი და გაოცებისაგან პირდაფჩენილი შევყურებდი ამ სანახაობას. კარგად მახსოვს გიორგი ფეიქრიშვილმა „შემოძახილი“ წამოიწყო და დაგუგუნდა სიმღერა. ახლა წულა წამოეშველა, „ჭირს მოგჭამ ნუ შემძულდები, ერთი ქართული მითხარო, ან მომე ბარინიჩაბი, სამარე ამოვითხარო“... გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, ან მოსატყუარი რა მაქვს, იმათ ხმაზე ეს პატარა ხის სახლი აქეთიქით აკვანივით ირწეოდა. სუფრა გასრულდა და გარეთ რომ გამოვედით, თვალებს არ ვუჯერებდი, მთელი ზემო უბანი ჩვენი სახლის გარშემო იდგა. თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში ეგრე შემოჯარულები იდგნენ და სულგანაბული უსმენდნენ სიმღერებს“ (გურამ ურჩუხიშვილი, „ერთი ქართული მითხარო“, თელავი, 2004).

## შაქრო (ზაქარია) ლომიძე (1910-1960)

შაქრო ლომიძე პირველად მომღერალ ვასო მამუკელაშვილს „აღმოუჩენია“: „თექვსმეტი წლისა იყო შაქრო, როდესაც ზუზუმბოზე თამბაქოს თოხნაში ვნახე, მისმა სიმღერის ხმამ ისე მომხიბლა, რომ მაშინვე წავიყვანე ტიტო მგალობლიშვილსა და შაქრო ჭელიძესთან. მათ მოუსმინეს შაქროს და გაოცდნენ“ (გიორგი ჯავახიშვილი, „ლექსისა და სიმღერის კვალდაკვალ“, თბილისი, 2004).

თელავში ყოფნისას, „თელაველებზე“ — ფირუზ მახათელაშვილსა და მისი გუნდის წევრებზე — მასალების შეგროვებისას, შაქრო ლომიძის ქალიშვილმა — ლია ლომიძემ — საქმაოდ საინტერესო საარქივო მასალები გადმოგვცა: ფოტოები, აფიშები, მოსაწვევები, სიგელები, გაზეთები, მათ შორის, თავისი დაწერილი მოგონება — სახელოვანი მამის ბიოგრაფია და შემოქმედებითი გზა, რომელსაც თითქმის უცვლელად ვთავაზობთ მკითხველს:

### მამაჩემი — შაქრო ლომიძე

მამაჩემი ბუნებით მეტად კუთილშორილი კაური იყო, არავითარი მოროვება მასში არ არსებობდა. ჟუვარია ყველა: ნათესავი, მეგონარი, თანამშრომელი, გუნდის წევრი, ყველაზე მეტად კი მაინუ სიმღერის ტრფიალი იყო. გუნდის მეტადინებზე მოვალეობა კი არა, სიმღერის სიყვარული ენეოდა. ყველა საქმეს თავს დაანერებდა

და რეტეფირის მაინჯ ან გააწყონდა. მცუროდა ნამდვილი ხელო-  
ვანის ძალით და ნამცურში მთელ თავის სკულს და გულს აქსოვდა.  
სიმცურის სიყვარული შვილებსა და გაზმოვეფი. ჩვენ მცხირალური  
ოჯახი გვერხდა: მცუროდა დედაჩემი – მარიამ გოჭორიძე, ჩემი  
ძმერი – ანზორი და რობერტი. მარა შემოვისხამდა შვილებს  
და ხალხურ სიმცურებს გვასხვლიდა. რობერტი მამაჩემის კავალს  
გაპურა – დაამთავრა თეატრალური ინსტიტუციი მცხირალური კომე-  
დიის განხრით. მცუროდა საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდი,  
ფილარმონიკასა და კაპელაში. მამამ ზევრი ახალგაზრდა აზიარა  
ქართული ხალხური სიმცურის მაღლს და კოდევ ზევრ კარგ  
საქმეს გააკეთებდა, უდროოდ რომ ან გარდავცლილიყო.

შაქრო ლომიძე დაიბადა 1910 წლის 10 მაისს ოქონვში. პაპა-  
ჩემი – იაგორა ლომიძე მჭედლი იყო და პატიოსანი შრომით არ-  
ჩენდა წოლსა და სამ შეიღლს. ლიდეფაჩემი, მაღუსა, კონფლიკტი  
ქალი, მარკვევ უძლვებოდა ოჯახს, თან შესანიშნავად ქსოვდა  
ქართული ლექაქერის არშიერს. სუფთა, წკრიალა, სახიამოვნო ხმა  
ჰქონდა და შვილებსა და სახავლიდა სიმცურებს. შეიძლება, დედამ  
და მისმა ხმამ შეაყვარა მამაჩემს ხალხური სიმცურა და ამი-  
ცომაუ მის მსახურად დარჩა სიღრუბლის ზოლომდე.

ხელმოკლების გამო საშუალო განათლებას ვერ მიიღო.  
ოთხი კლასი დაამთავრა და შეგირდა დაუდგა პარიქმახერ  
ვანო გორგაძეს. სიმცურასავით შეიყვარა მამამ თავისი ხელობა  
და კარგი ხელოსხის სახელით მოიპოვა. თექვაშეცი წლისა  
უკუკ მცუროდა სამოქალაქო ეთნოგრაფიულ გუნდში და იქი-  
დანვე მიიპყრო ლოტეპართა ყურადღება. მისი ზარივით წკრიალა  
ხმა ნარუშლებ შთანეფალილებს ტოვებდა მსმენელზე. გუნდში  
ყოველთვის ნამცვანი სოლისჭი იყო და პირველობას არავის  
უთმობდა – არს პყავდა მეტოქე. მის მიერ გიორგი ამუზაძ-  
ვილოთან ერთად შესარულებული ქართლ-კახური სიმცურები,  
განსაკუთრებით „მრავალუამიერი“ ქართული ხალხური სიმცურე-  
ბის ოქროს ფონდშია შეფანილი.

საინტერესო შემადგენლობით გამოირჩეოდა სამოქალაქო  
გუნდი გახსული საუკუნის 30-იან წლებში. მასში მამაჩემთან  
ერთად მცუროდნენ: შაქრო ჟულიძე, ვასო მამუკალაშვილი,  
გიორგი ამუზაძევილი, გიორგი ფეიქრიშვილი, ალექსი გუ-  
ლიაშვილი, გიორგი ჩიკვაძე, ფირუზ მახათელაშვილი, გაიოზ  
ზაქრაძე, ვახტანგ ზაალიშვილი და ჩემი ზიძერი – მათე, ლუკა

და მიუნ ბოჭორიძეები....

თელავის ენოგრაფიულმა გუნდმა დიდ ნარმატებას მიაღნია 1936 წელს, საქართველოს სამინისტროს მეურნეობის მუშაობა პროფესიულების მხატვრული თვითმოქმედების პირველ ოლიმპიადაზე, პირველი ადგილი დაიკავა. „კახური სიმღერის საუკათხეს შესრულებისათვის“ მამა სიგელით დააჭილდოვეს. სიგელს ხელს აწერს უიურის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალექსანდრე ნუნეავა.

თელავის გუნდი, სახელმწიფო ახალმწლის სტატუსი ექნება მიუნ თუ რომელიმე დახრისებულებათან იარსებებდა, ყოველთვის გამარტვული გამოიიბიდა. მამაჩემს „შემოქმედებითი ნარმატებისა და თვითმოქმედი ხელოვნების განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის“ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით აჭილდობდნენ. მამა არაჩვეულებრივი შემსრულებელი და კარგი ლოგიკარი იყო. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სკოლების, სასოფლო კულტურის სახლებისა და ფანსერულების ახალმწლებსა და გუნდებს (კურატორაურის, აკურის, კისისხევის, თელავის სამეცნიერო სასახლეების). ჩავშვივით ახარებდა ნარმატება, სახე გაუყისკოვნედებოდა, როგორ შრომას და ფაუფასერდნენ. გამსაკუთრებული ნარმატება ხვდა 1960 წელს გულგულის საკოლეგიუნეო გუნდს. გულგულა პირველად მონაწილეობდა რაიონულ ფათვადღიერებაში და ეს ნამდვილად მამაჩემის დამსახურება იყო. სოფელში დიდი ზეიმით აღნიშნა გუნდის ნარმატება და მამა საჩუქრით დააჭილდოვა.

1959 წელს ოჭახში ხალხური სიმღერების წნობილი შემკრები და ჩამწერი ოთარ ჩიჭავაძე გვერდის მან ჩვენი საოჭახო ახალმწლისაგან რამდენიმე სიმღერა ჩაინარა. აღნათ, ზაფონი ოთარი ამ სიმღერებს თავის ნაშრომში შეიცნდა.

ჩალევ საუბრის თემა მამაჩემისა და გიორგი ამუზაშვილის სიმღერა და მეგობრობა. ეს დუუფი წლების განმავლობაში ატეკტონდა მსმენელს და, მაღლობდა ლერთს, მათი ნამღერი ჩანერილია. თელაველი მომღერლებისაგან (ლომიძე-ამუზაშვილი-ვეიქონიშვილი) ოთარ ჩიჭავაძემ მრავალი სიმღერა ჩაინარა და 1961 წელს კრებულადაგ გამოსავა.

მამაჩემს და გიორგი ამუზაშვილმა ნახევარ საუკათხეს ვურ გადამარიტეს. ორივე მოულოდნელად გარდაიცვალა: გიორგი ამუზაშვილი 48 წლისა, მამა – 50-ისა (დაკრძალულია თელავში).



თელავის გუნდი, 1950  
Telavi group, 1950



ეს უფიდესი დარტყმა იყო თელავის გუნდისათვის. საპეტენიეროდ, გუნდში დარჩა მისი დამამშვენებელი ხმა – გიორგი ფეიქრიძე-ვილი. ამ განმუშეორენელი მომლერლების ტრადიციერი გააგრძელეს შალვა და დავით მარკოზაშვილებმა, შალვა შიძინაშვილმა, ავთანდილ შაშურაშვილმა, კუმალ ჩოთალიშვილმა...

**ლია ლომიძე, 2004 წელი**



ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში შემონახულია გასული საუკუნის სამოციან წლებში შაქრო ლომიძისა და გიორგი ფეიქრიშვილის მიერ დაწერილი ავტობიოგრაფიები, რომელთაც თან ახლავს თელავის კულტურის სახლისა და თელავის კულტურის განყოფილების გამგის დახასიათებები. ავტობიოგრაფიები პირველად, უცვლელად ქვეყნდება.

**კურდელაურის რვაწლიანი სკოლის გუნდი, 1948 წელი.**

**ხელმძღვანელი შაქრო ლომიძე  
Kurdgelauri choir, 1948, leader Shakro Lomidze**



## შაქრო ლომიძე /ავტობიოგრაფია/

მე, ზაქარია იაგორის ძე ლომიძე, დავიბადე 1910 წელს ქალაქ თელავში. მამა, იაგორ მიხას ძე, ოქტომბრის რევოლუციამდე იყო მუშა, რევოლუციის შემდეგ იგივე მუშა. გარდაიცვალა 1942 წელს. დედა, მალუცა ივანეს ასული, ოქტომბრის რევოლუციამდე და შემდეგაც იყო დიასახლისი. გარდაიცვალა 1946 წელს.

პირველდაწყებითი სწავლა მივიღე ქალაქ თელავში 1917-21 წლებში. ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ აღარ მისწავლია. 1926 წლიდან დავინებე მუშაობა ქალაქ თელავში პარიკმახერად არტელ „წითელ ჯვარში“, სადაც ვმუშაობდი 1928 წლიდან. 1928 წლიდან 1932 წლამდე ვმუშაობდი კომუნალური განყოფილების არტელში პარიკმახერად.

1928 წელს შევედი თელავის მუშათა კლუბთან არსებულ მომდერალთა გუნდში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლოტბარი ტიტო მგალობლივილი. აღნიშნულ გუნდში თავს იყრიდნენ მომდერლები: გ. ყავალაშვილი, გ. ამუზაშვილი, გ. ფეიქრიშვილი, შ. ჭელიძე და სხვა. 1935-37 წლამდე მომდერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა შიო ბაბალაშვილი. აღნიშნულმა გუნდმა, რომელშიც მეც ვიღებდი მონანილეობას, მოახდინა გამოსვლა ოლიმპიადაზე თბილისში. ხოლო კარგი ნარმატების შედეგად ორჯერ გაგვინციეს მოსკოვში 1936 და 1937 წლებში. 1940 წლიდან სიმღერის გუნდს ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფირუზ დავითის ძე მახათელაშვილი, რომელთანაც მე მივეჩვი გუნდის ხელმძღვანელობას და 1946 წლიდან ვმუშაობ როგორც სასკოლო გუნდების, ისე ნარმოებადანესებულებებისა და საკოლმეურნეო გუნდების ხელმძღვანელად.

გუნდში დამსახურებისათვის მიღებული მაქვს სიგელები, მოსკოვში და თბილისში ოლიმპიადებზე მონანილეობის დროს. ყველა ოლიმპიადაზე 1936 წლიდან დაწყებული მაქვს მონანილეობა მიღებული დღემდე. ვარ უპარტიო, მყავს ცოლ-შვილი. 1932 წლიდან დღემდე ვმუშაობ ქალაქ თელავის სასტუმროსთან არსებულ საპარიკმახეროში პარიკმახერად, ხოლო პარალელურად მონანილეობას ვიღებ დღემდე თელავის სარაიონო ანსამბლში მომდერლად, რომელსაც ხელმძღვანელობს ფირუზ დავითის ძე მახათელაშვილი.



შაქრო ლომიძე  
Shakro Lomidze

ზაქარია იაგორის ძე ლომიძე.  
1960. 05. 07



გრიგოლ კოკელაძე ვანოდოლელი მომღერლებისჩაწერისას  
Grigol Kokeladze is recording songs by Giorgi Amuzashvili  
and Giorgi Peikrishvili, Kondola

# გიორგი ფეიქრიშვილი (1898-1980)

/ავტობიოგრაფია/

მე, გიორგი თედოს ძე ფეიქრიშვილი, დავიბადე 1898 წელს, თელავის რაიონში, სოფელ კონდოლში, გლეხის ოჯახში. სწავლა-განათლება არ მიმიღია. ბავშვობიდან დღემდე ვენევი სოფლის მეურნეობას. ჩემი აღზრდის პერიოდი გავატარე გლეხობასთან შრომაში და ლხინში. პატარაობიდანვე კარგი ხმა მქონდა, მყვარდა სიმღერები. ამ პერიოდში ხალხური სიმღერების მეტს



გიორგი ფეიქრიშვილი  
Giorgi Peikrishvili

არაფერს ვისმენდი, რის გამოც დიდი ინტერესითა და სიყვარულით ვსწავლობდი ჭველი ცნობილი მომღერლებისაგან. ვფიქრობ, რომ კახეთში არ უნდა იყოს დარჩენილი სიმღერები, რომ მე არ ვიცოდე და არ ვმდეროდე. მაქვს პირველი ხმა და ჩემს დროის მანძილზე ჩემთან შეჩვეული საუკეთესო მომღერალი გიორგი ამუზაშვილი მღეროდა მისი გარდაცვალების დღემდე.

1927 წელს გაგვინვიერ თელავის ეთნოგრაფიულ გუნდში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტიტო მვალობლიშვილი. 1936 წელს გაგვინვიერ თბილისში სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სანდრო კავსაძე. 1940 წლიდან თელავის ეთნოგრაფიული გუნდი აღადგინა ფირუზ მახათელ-აშვილმა და თელავის რაიონის საუკეთესო მომღერლები შეაგროვა. 1944 წლიდან ანსამბლმა მიიღო სახელმწიფო წოდებადა ყოველწლიურად ვემსახურებოდით მთელ საქართველოს. არ ჩატარებულა არც ერთი რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომ მონაწილეობა არ მივვეღო. 1952 წელს სახელმწიფო ანსამბლი

გაუქმდა რაიონებში, მაგრამ დღემდე მაინც ვმუშაობ თელავის რაიონულ კულტურის სახლთან არსებულ მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივში. კოლექტივის დაარსების დღიდან ვარ კოლმეურნე და ვემსახურები როგორც საკოლმეურნეო შრომას, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობას.

გ. ფეიქრიშვილი  
1960. 10. 07.

გიორგი ფეიქრიშვილი თელავის გუნდში 1976 წლამდე მღეროდა. 82 წლისა გარდაიცვალა და სოფელმა მშობლიურ კონდოლში დიდი პატივით დაკრძალა (გიორგი ფეიქრიშვილს ცოლ-შვილი არ ჰყოლია, მემკვიდრე არ დარჩენია და, ამდენად, მისი საოჯახო არქივიც არ შემონახულა).

გიორგი ამუზაშვილი (მარცხნივ) და გიორგი ფეიქრიშვილი (მარჯვნივ)  
Giorgi Amuzashvili (left) and Giorgi Peikrishvili (right)



## გიორგი ამუზავილი (1906-1954)

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში გიორგი ამუზაშვილის ბიოგრაფია და დახასიათება არ აღმოჩნდა. საბედნიეროდ, თელავში, ამუზაშვილების ოჯახში ყოფნისას, გიორგი ამუზაშვილის რძალმა — ქალბატონმა მერი კირვალიძემ — გადმოგვცა თავისი სახელოვანი მამამთილის ბიოგრაფია, რომელიც მისთვის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, დედამთილს — ნინა ბედმანიკაშვილს — უკარნახია:

„გიორგი ამუზაშვილი დაიბადა 1906 წელს კონდოლში. რვა თვისას დედა დალუპვია და მეზობელ მოხუც ქალს გაუზრდია. ლამაზი, ცოცხალი ბავშვი ყოფილა და მეზობლებს ძალიან ჰყვარებიათ. ჯერ კიდევ ბავშვობისას, მოხუც მეზობელს სტუმრები რომ მოუვიდოდნენ, მათთან პატარა ობოლი მიჳყავდათ და ამღერებდნენ. უყვარდა მოხუცებულები, მათგან ისწავლა პატარა გიორგიმ სიმღერები. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გიორგის მამა კვლავ დაოჯახებულა. ბავშვი ძალიან იტანჯებოდა დედინაცვლის ხელში. თოთხმეტი წლისას მამა გარდაეცვალა და დარჩა ბავშვი დედინაცვლის ამარა. მალე დედინაცვალიც გათხოვდა... თექვსმეტი წლისას მეზობლის გოგო შეუყვარებია და დაქორწინებულან. რვა თვის შემდეგ მეუღლე გარდაცვლილა. თვრამეტი წლისა მეორედ დაქორწინდა, მაგრამ ბედმა არც ახლა გაახარა — ცოლი მშობიარობას გადაჰყვა და ბავშვის გაზრდა თვითონ მოუხდა.

ნიჭმა თავისი გაიტანა და გიორგი თელავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მღეროდა,

ჯერ ბაბალაშვილთან, შემდეგ — ფირუზ მახათელაშვილთან. თბილისიდან ჩამოსულმა გრიგოლ კოკელაძემ ამუზაშვილ-ფეიქრიშვილისაგან ჩაინტერვიები: „ჩაკრულო,“ „სუფრული“ და „შაშვი კაკაბი“. კოკელაძე იმდენად აღაფრთოვანა გიორგის ხავერდოვანმა ხმამ, რომ თბილისში წაიყვანა და სანდრო კავსაძის გუნდში ჩარიცხა, სადაც მან ორი-სამი წელი დაჰყო. ვენახისა და მამულის მოყვარულმა კაცმა ვერ გაძლო თბილისში, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და ისევ თელავის გუნდში გააგრძელა სიმღერა. გიორგი ფეიქრიშვილთან ერთად კონდოლელი მომღერლებისაგან ნასწავლი სიმღერებით გაამდიდრა რეპერტუარი, განსაკუთრებით საყურადღებოა „შემოძახილის“ კონდოლური ვარიანტი და „შაშვი-კაკაბი“.

სამშობლოს გასაჭირის უამს, 1941 წლიდანვე, მის დამცველთა რიგებში დადგა, იქიდან დაჭრილი ჩამოვიდა და ისევ განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა. უდროოდ გარდაცვლილი 21 წლის შვილის სიკვდილმაც ვერ აიძულა მიეტოვებინა საყვარელი საქმე. მღეროდა და თან ტიროდა ცხოვრებისგანდაჩაგრული კაცი. ყველა




გიორგი ამუზაშვილის მეულლე ნინა და ვაჟები — ალექსანდრე და გურამი, 1941  
Giorgi Amuzashvili's family, 1941

დათვალიერება-ოლიმ-  
პიადიდან სიგელებით,  
დიპლომებითა და  
მედლებით დაჯილდოე-  
ბული ბრუნდებოდა.  
სიკვდილამდე მღეროდა  
ფირუზ მახათელაშვი-  
ლის გუნდში. ყოველთ-  
ვის მეორე ხმას ამბობ-  
და, გარდა „ზამთრისა“  
(გიორგის ვაჟის — გუ-  
რამ ამუზაშვილის —  
ცნობა). გიორგი მოუ-  
ლოდნელად გარდაიცვ-  
ალა 1954 წლის 9 მაისს,  
48 წლისა.

თბილისიდან დაკრ-  
ძალვაზე ჩამოიტანეს  
გვირგვინი, რომელშიც  
ჩაწერილი იყო სიმებ-  
დაწყვეტილი ფანდური  
წარწერით: „ვაგლახ,  
რომ ჯერ ადრე იყო,  
ძალიან ადრე, ასეთი ბულბულის დაკარგვა“.

გიორგი ამუზაშვილი დასაფლავებულია თელავში.“



გიორგი ამუზაშვილი  
Giorgi Amuzashvili

ნინა ბედმანიკაშვილი, 1987 წელი

※ ※ ※

შაქრო ლომიძის საოჯახო არქივში აღმოჩნდა 1951-54 წლებ-  
ის საქართველოს რესპუბლიკური ოლიმპიადების დასკვნითი  
ტურის პროგრამები. ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინ-  
ტერენესო იქნება თელავის გუნდის მაშინდელი რეპერტუარი და  
შემსრულებლები.

**მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების  
საქართველოს რესპუბლიკური ოლიმპიადა**

**მეორე დღე — 1951 წლის 27 მარტი**

**პ რ ტ გ რ ა მ ა**

**მესამე განყოფილება**

**თელავის მასწავლებლის სახლის სიმღერისა და ცეკვის  
ანსამბლი**

მხატვრული ხელმძღვანელი ფ. მახათელაშვილი  
მოცეკვავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი ო. სლონაშვილი

1. სიმღერა სტალინზე — დამუშავებული ფ. მახათელაშვილის მიერ.
2. კახური მრავალუამიერი, დამწყებნი: შ. ლომიძე და გ. ამუზაშვილი
3. ცეკვა „ქართული“, ასრულებენ: ნ. მოდებაძე და ნ. ოქრუაშვილი
4. ხალხნო შეხედეთ — დამუშავებული ფ. მახათელაშვილის მიერ
5. მთიელთა ცეკვა — ასრულებენ მ. ევანქიშვილი და ო. მუნჯიშვილი
6. ჩაკრულო — ხალხური, დამწყებნი: გ. ამუზაშვილი და შ. ლომიძე
7. ნუ გიყვარს ქალაუ — დამუშავებული ფ. მახათელაშვილის მიერ, სოლისტები: თ. მაისურაძე, შ. ლომიძე და ა. შაშურაშვილი

ცეკვას ასრულებენ ნ. ოქრუაშვილი და გველესიანი

პროგრამის წამყვანი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბაქრაძე

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა  
და ბალეტის ლენინის მრდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

**საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების  
მერვე ოლიმპიადა**

**1954 წლის 28 ნოემბერი  
ოლიმპიადის მეექვსე დღე  
მეორე განყოფილება**

**თელავი**

სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამ-  
ბლი. ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ.  
მახათელაშვილი

მოცეკვავეთა წრის ხელმძღვანელი ნ. ოქრუაშვილი.

სიმღერა თელავზე — მუს. ბ. კიკვიძის, სიტყ. ვ. გოგოლაშ-  
ვილის. სოლოს შეასრულებს ც. ლეკიშვილი, დირიჟორობს შ.  
კიკვიძე.

მრავალუამიერ — ხალხური, სოლისტები: შ. ლომიძე და შ.  
მარკოზაშვილი.

ცეკვა ქართული — შეასრულებენ: ბ. ზეინაბიშვილი და რ. კუ-  
პატაძე.

შემოძახილი — ხალხური, დამწყებნი: გ. ფეიქრიშვილი და შ.  
მარკოზაშვილი

სიმღერა მთისა და ბარის მეგობრობაზე — ცეკვით, მუსიკა  
და სიტყვები ფ. მახათელაშვილის. დამწყებნი: ა. შაშურაშვილი,  
ც. უთალიშვილი, ე. მესტვირიშვილი და ც. ლეკიშვილი.

პროგრამა მიჰყავთ რესპუბლიკის სახალხო არტისტს, სტა-  
ლინური პრემიის ლაურეატს პ. კობახიძეს, ლ. გრიგოლიას, ც.  
მგალობლიშვილს და ა. ჩაფიძეს.

# პროგნამა

საქართველოს  
მხატვრული  
თვითმოქმედების

VIII  
ოლიმპიადა

1954





თელავის გუნდი, 1947  
Telavi group, 1947



დღეისათვის ძნელია ზუსტად მოიძიო და დაადგინო ოცდაათი წლის მანძილზე თელავის გუნდის წევრთა რაოდენობა და კინაობა. ჩვენ შევეცადეთ, პირადი არქივების, აფიშების, პროგრამების, სხვადასხვა კერძო წყაროს მიხედვით მოგვეძიებინა და დაგვეზუსტებინა „თელაველების“ ოცდაათწლიანი შემადგენლობა. შთამომავლობამ უნდა იცოდეს და იამაყოს მათი სახელებით.

ჩვენი დიდი მცდელობისა და მონდომების მიუხედავად, თუ ვინმეს სახელი ვერ ვიპოვეთ ან უნებლიერ გამოგვრჩა, გამოგვეხმაუროს, ინფორმაცია მოგვაწოდოს და სამომავლოდ ჩვენ სიამოვნებით ჩავრიცხავთ „თელაველებში“, ისე, როგორც თავის დროზე ამშვენებდნენ ამ ლეგენდარულ ანსამბლს.

მკითხველს ქრონოლოგიის დაუცველად ვთავაზობთ თელავ-ის გუნდის მომღერალთა, მოცეკვავეთა და მესაკრავეთა გვარ-სახელებს:

ალხანაშვილი მათე (ნაქო)	თვალიაშვილი ჯიმშერ
ამუზაშვილი გიორგი	თვალიაშვილი მირიან
ანდრონიკაშვილი ქეთევან	თვალიაშვილი ლია
ანტონოვა დარიკო	თხლაძე ა.
არსენაშვილი ლ.	იმერლიშვილი ვარდო
ახმეტელი კ.	კალმახელიძე იზო
ბაკურაძე ო.	კევლიშვილი ირა
ბაქრაძე გაიოზ	კირვალიძე გ.
ბაჩიაშვილი თამაზ	ლაზარიაშვილი ი.
ბაჩიაშვილი კ.	ლამაზოშვილი ბადრი
ბაჩიაშვილი სერგი	ლეკიშვილი ლამარა
ბახსოლიანი ვ.	ლომიძე შაქრო
ბერიაშვილი გ.	ლუარსაბიშვილი თამარ
ბერძენიშვილი მარგო	ლუხუტაშვილი ლ.
ბერძენიშვილი მარიამ	მამუკელაშვილი გ.
ბიძინაშვილი შალვა	მამუკელაშვილი ელენე
ბოჭორიძე ლუკა	მამუკელაშვილი ვასო
ბოჭორიძე მათე	მამუკელაშვილი ოთარ
ბოჭორიძე მიტო	მარკოზაშვილი დავით
გაბუნია ნ.	მარკოზაშვილი ე.
გელოვანი ალბერტ	მარკოზაშვილი შალვა
გოლოვანოვი ალბერტ	მარტირუზოვი გ.
გოცირიძე დოდო	მაყაშვილი ეკატერინე
გულოვანოვი ვლადიმერ	მაყაშვილი თამარ
დალაქიშვილი იზო	მაყაშვილი შ.
დალაქიშვილი თინა	მახათელაშვილი ცაცა
დავითაშვილი ი.	მესტვირიშვილი ელენე
დემუროვი პავლე	მეტრეველი თინა
ელიზბარაშვილი არჩილ	მიქელაძე თამარ
ელიზბარაშვილი ნინა	მოდებაძე ვახტანგ
ერისთავი ნინო	მოდებაძე ფ.
ზაალიშვილი ვახტანგ	მურველაშვილი შ.
ზაალიშვილი ელიკო	ნინიაშვილი დ.
თამარაშვილი კოტე	ნინიკელაშვილი ნ.
თარხანოვი	ნინოშვილი დ.
თარხნიშვილი ფლორა	ოქრუაშვილი გიორგი

ოქრუაშვილი ნასყიდა  
 პაპალაშვილი გიგლა  
 რაზმაძე ზაქრო  
 რაზმაძე ფირუზ  
 რუსიშვილი-ტოგონიძე ნინო  
 სამხარაძე ჯ.  
 სარალიძე ელიზბარ  
 სარგისაშვილი ვ.  
 სახიევი სარქისა  
 სიმაშვილი მიხეილ  
 ტოგონიძე შ.  
 ტურაშვილი მარიამ  
 ფარცხალაძე ნინო  
 ფეიქრიშვილი გიორგი  
 ფეიქრიშვილი ომარ  
 ფირანიშვილი ა.  
 ფირუშმოვი არტემ

ქადაგიშვილი თამარ  
 ქარუხნიშვილი საშა  
 ქორიძე ჯ.  
 ქორგოგინოვი ჯ.  
 ქურციკაშვილი ლაურა  
 ღარიბაშვილი მ.  
 ყარალაშვილი ელენე  
 ყორანაშვილი უშანგ  
 შაშურაშვილი ავთანდილ  
 შიუკაშვილი გ.  
 ჩიკვაიძე გიორგი  
 ჩოთალიშვილი ჯემალ  
 ძულიაშვილი ალექსი  
 ჭელიძე შაქრო  
 ჭიკაძე შოთა  
 ჯაშიაშვილი ქეთევან  
 ჯაშიაშვილი ქსენია



ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი დახმარებისათვის უდიდეს  
 მაღლობას უზდის:  
 ფირუზ მახათელაშვილის ოჯახს, რძალს — მედეა უთმელიძეს  
 და ქალიშვილს — ნინო მახათელაშვილს.  
 შაქრო ლომიძის ქალიშვილს ლია ლომიძეს და მის მეუღლეს —  
 დავით შიუკაშვილს.

გიორგი ამუზაშვილის ოჯახს, რძალს — მერი კირვალიძეს და ვა-  
 ჟიშვილს — გურამ ამუზაშვილს.

თელავის გუნდის წევრებს — ოთარ მამუკელაშვილსა და არტემ  
 (არტო) ფირუშმოვს (ფირუშაშვილს).

ანსამბლ „წინანდალს“ — ლევან აბაშიძეს, გურამ ურჩუხიშვილსა  
 და დავით გაგანაშვილს.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი  
 ჯავახიშვილს.

თელავის ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტს ოლია ჯაჯანაშ-  
 ვილს.

ბომლერალსა და ლოტბარს ანდრო სიმაშვილს.

ეროვნული არქივის დირექტორს თეონა იაშვილს და კინო-ფო-  
 ტო-ფონო განყოფილების თანამშრომლებს — მზია ქუცნაშვილს,  
 ნაზი გორგიაშვილსა და ეკა სანიკიძეს.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელს  
 — ლევან ყუბანეიშვილს.

**ბაია ასიეშვილი**

# TELAVI GROUP (1939-1970)

Telavi Group, which is often referred to as “Telavelebi” too, was lead for thirty years by Piruz Mkhatelashvili, a famous song conductor. This group has won popularity, fame and authority by high professionalism and unique voices of the singers, their original style and loyalty to the traditions. In the case of “Telavelebi” we deal with the event when the song conductor and members of the group make one entity indeed, and when the leader deeply understands uniqueness of the Georgian folk songs as well as their amazing depth.

Telavi Group has not been created without any antecedents. Telavi is the town of the most ancient musical traditions. Since the 80-ies of the XIX groups of Zakaria Chkhikvadze, Ioseb (Joseph) Monadirishvili and Niko Sulkhanishvili were formed and acted in Telavi.

In the 20-ies of the XX century Niko Sulkhanishvili's demolished group was rearranged and lead by Grigol Kolelishvili. In 1926-1937 Dimitri (Tito) Mgaloblishvili guided Telavi Group, then, for a short time, Rezo Karukhnishvili, and since 1939, Piruz Mkhatelashvili, who remained the unchanged leader of Telavi Group till his demise.

Piruz Mkhatelashvili was born in 1914 in Telavi Mazra (Telavi District). He graduated from Tbilisi musical study institution and afterwards from the Tbilisi State Conservatoire with the specialty of group conductor. In 1936-1939 he used to lead groups of various study institutions and establishments in Tbilisi. In 1939 the gifted young man was invited as the leader of Telavi Group. It is true that Telavi Group had already possessed a semi-centennial history, but still it was not an easy task to restore the disintegrated ethnographic group, to enrich its repertoire, at the same time paying its tribute to the epoch, to the communist system. Piruz Mkhatelashvili initially recorded variants sung by Dendas Levana, Iliko



თელავის გუნდი დიმიტრი მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით, 1931  
Telavi group, 1931, leader Dimitri Mgaloblishvili

Sinjikashvili, Mikha Avgarozashvili, Vano Mchedlishvili, Mikha Jighauri, Ninja Eloshvili. Without changing the initial tint and character, he has restored the melodies and texts which were infringed in the course of time. Lead by such principle, Piruz Makhatelashvili has created the best ensemble arranged according to the principles of syncretism: with the unity of song, dance, musical instruments (changi, panduri), and verse.

This excellent song conductor had his own songs as well, among these were the songs quite widespread on the Georgian stage and popular amongst the people: "Nu Giqors Kalav" ("Do not Love, Girl"), "Simghera Kakhetze" ("A Song about Kakheti"), "Simghera Telavze" ("A Song about Telavi"), musical-choreographic suite "Mtisa da Baris Megobroba" ("Friendship of Highlanders and Lowlanders"), but he always emphasized the great distance between them and the folk art. Yet these folk chef-d'oeuvres had great performers and leading voices for thirty years: Shakro Lomidze, Giorgi Amuzashvili, Giorgi Peikrishvili. In Telavi Group the tradition of these great singers was



თელავის გუნდი, 1940-იანი წლები  
Telavi group, 1940s

continued by Shalva and Davit Markozashvili, Shalva Bidzinashvili, Avtandil Shashurashvili, Jemal Chotalishvili...

The CD includes the repertoire of Telavi Group in 1939-1970 as well as popular songs by Piruz Makhelashvili. In 2010 there comes the 130<sup>th</sup> anniversary of the foundation of the group. The issue of this book as well as of the CD is devoted to this remarkable date.